სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

19 დეკემბერი, 2025 წელი

ბრძანება №01-02/229

ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე ,,ბუღალტრული აღრიცხვა"
პროფესიული სტუდენტის ედნან კაკაბაძის მიერ ათვისებული კრედიტების **აღიარების**
კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 სექტემბრის №98/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 20 ნოემბრის №01-08/852 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 26 ოქტომბრის №01-08/932 ბრძანების, ,,ბსუ-ს ,,ბუღალტრული აღრიცხვის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტ ედნან კაკაბაძისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 04 აგვისტოს №01-08/476 ბრძანების, ედნან კაკაბაძის 2025 წლის 11 დეკემბრის №1772171 განცხადების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 17 დეკემბრის №1796947 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიულ სტუდენტ ედნან კაკაბაძის მიერ, ბსუ-ს პროფესიულ პროგრამაზე **,,ბუღალტრული აღრიცხვა"** (მე-5დონე) ათვისებული **კრედიტების აღიარების მიზნით,** შეიქმნას **კომისია შემდეგი შემადგენლობით:**
   ა) **მამუკა გოგელია** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
   ბ) **ნათია ტაკიძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვა" ხელმძღვანელი;
   გ) **ლია ქავთარაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" პროფესიული განათლების მასწავლებელი;
   დ) **ლევან ცეცხლაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა" პროფესიული განათლების მასწავლებელი.

2. კრედიტების აღიარების კომისიამ იმუშაოს 2025 წლის **20 დეკემბერს,** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №305).

3. კრედიტების აღიარების კომისიის გადაწყვეტილება პროფესიულ სტუდენტს ეცნობოს **2025 წლის 22 დეკემბერს** (ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, VI კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი №305).
4. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება.
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არუშიძე